წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომის ოქმი №1

ქ.წალენჯიხა 2020 წლის 08 იანვარი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დარეჯან დადიანი

საკრებულოს 30 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 17 დეპუტატი: დარეჯან დადიანი, თენგიზ ფიფია, დავით ბელქანია, ასმათ კვარაცხელია, ვალერიანე კვარაცხელია, გოჩა ლიპარტია, ანზორ ძაძამია, ზურაბ სამუშია, იაგო მიქავა, დავით ფიფია, ბაკურ სონგულია, ლევან შელია, დათა კუკავა, თეა ხასაია, ბაჩუკი უბილავა, ავთანდილ გაბელია, დათა აკობია.

საკრებულოს სხდომას არ ესწრებოდა: თემურ ღვინჯილია, მაია მიქავა, სოლომონ სარია, დალი კვარაცხელია, ცოტნე მესხია, მანანა ჭანია, კახაბერ ჯოლოხავა, ვლადიმერ კვარაცხელია, ნონა იქავა, ნონა გუჩუა, ელგუჯა მესხია, ირაკლი ხარჩილავა, გიორგი აბულაძე.

აქედან საპატიო მიზეზით საკრებულოს სხდომას არ ესწრებოდა: თემურ ღვინჯილია, მანანა ჭანია, დალი კვარაცხელია, მაია მიქავა, ელგუჯა მესხია.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერი ბესიკ ფარცვანია, საკრებულოსა და მერიის თანამშრომლები.

სხდომა დაიწყო: 12:00 სთ.

სხდომა დასრულდა: 12:25 სთ.

სხდომის თავმჯდომარემ დარეჯან დადიანმა საკრებულოს სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი.

საკრებულოს წევრებს წარმოდგენილი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნა ან დამატება არ დაუფიქსირებიათ.

დღის წესრიგი:

1.„ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მერის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: ჯემალ ბელქანია, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი

მოისმინეს : 1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსმა ჯემალ ბელქანიამ.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს ფრაქცის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობი"-ს თავმჯდომარემ ავთანდილ გაბელიამ საკითხის მომხსენებელს მოსთხოვა განმარტება თუ როგორ მოხდება აღნიშნული ხელშეკრულებების განაწილება ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით. მომხსენებლისგან დამაკმაყოფილებელი პასუხის შემდეგ მან დატოვა სხდომათა დარბაზი.

საკრებულოს წევრებმა დავით ბელქანიამ და თენგიზ ფიფიამ მიზანშეწონილად მიიჩნიეს სამართლებრივ აქტში გათვალისწინებული იქნეს ხელშეკრულების ვადა, კერძოდ ხელშეკრულება გაფორმდეს კონკურსის საბოლო შედეგის დადგომის შემდეგ.

საკრებულოს წევრმა ლევან შელიამ უკმაყოფილება გამოთქვა მერიაში მიმდინარე რეორგანიზაციის შედეგით და ნაჩქარევად მიიჩნევს შრომითი ხელშეკრულებების დადებაზე საკრებულოს თანხმობას.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს სხვა განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ დარეჯან დადიანმა მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 15 დეპუტატი, წინააღმდეგი - 1 - ლევან შელია) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N 1).

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სხდომის თავმჯდომარე დარეჯან დადიანი